ახალი

განთიადი

„მედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული„

2017 წელი 30 მაისი № 5 № 8122

განთიადი

85 წელი თქვენთან ერთად!

ელფოსტა
AxaliGantiadi@gmail.com

„ინფორმირებული მოქალაქე - ძლიერი თვითმმართველობა„

გვ2.

გვ4.

ქართული საგალობლებიც რეპერტუარში

გვ5.

ფერადი სამყარო

ამერიკის ხმა

კასპის მუნიციპალიტეტის 4 სოფლის გაზიფიცირება დასრულდა

გვ2.

"სასკოლო მზაობის პროგრამის" განსახორციელებლად

გვ-5.

ქეთევან ციხელაშვილი კასპში

გვ2.

ფაშიზმზე გამარჯვების 72 წლისთავი

გვ2.

კასპში ბიზნესისა და ტექნოლოგიების ახალგაზრდული გადამზადების ცენტრი გაიხსნა

გვ3.

გვ6.

გაუმჯობესდა, მრავალფეროვანი გახდა ყვების რაციონი

სპორტული კალეიდოსკოპი

გვ8.

ერთოვნული ნამოსახლარი ლოგანაწყალი

გვ9-10.

მოკლედ — სამაისო სამ შეჯიბრებაზე

გვ8.

დონალდ ტრამპმა ქართველ კადეტს დიპლომი გადასცა

დონალდ ტრამპი კონექტიკუტში ჩავიდა და ახალ ლონდონში ამერიკის სანაპირო დაცვის აკადემიას ესტუმრა. პრეზიდენტი 2017 წლის სასწავლო კურსის გამოსაშვებ ცერემონიას დაესწრო, კადეტებს სიტყვით მიმართა და დიპლომები გადასცა.

ყველაზე მთავარი ისაა, რაც თქვენ საკუთარი თავის შესახებ ისწავლეთ. გაიგეთ, რომ უნდა აიღოთ პასუხისმგებლობა და იმოქმედოთ, როგორც საჭიროება მოითხოვს. თქვენ მოგიწევთ დიდი წნეხის ქვეშ მოქმედება და ამისთვის მზად უნდა იყოთ. თუმცა თქვენ სწორი არჩევანი გააკეთეთ და იცით, რას გააკეთებთ ამის შემდეგ ცხოვრებაში. სანაპირო დაცვის სამხედროებს განსაკუთრებული როლი და ფუნქცია აქვთ არა მარტო ჩვენს შეიარაღებულ ძალებში, არამედ ზოგადად ქვეყნისთვისაც. თქვენ მოგიწევთ განსხვავებული როლების შესრულება, ზოგიერთი თქვენგანი სხვა ქვეყნებში, ჩვენს პარტნიორებთან ერთად განაგრძობს მუშაობას, ზოგი კი აქ დაიცავს ჩვენს საზღვრებსა და ქვეყანას, დაუპირისპირდება ნარკოტიკებითა და ადამიანებით მოვაჭრეებს, ყველას, ვინც ჩვენს ქვეყანას ებრძვის, ვისაც არ უყვარს ჩვენი ქვეყანა. ვამაყობ, რომ წილად მხვდა პატივი, ვიყო თქვენი მთავარსარდალი - ამ სიტყვებით მიმართა ამერიკის პრეზიდენტმა სანაპირო დაცვის აკადემიის 2017 წლის კურსდამთავრებულებს.

ინაუგურაციის შემდეგ ეს პრეზიდენტის პირველი ვიზიტი იყო კონექტიკუტში. არჩევის შემდეგ კი მეორე გამოსაშვები ცერემონია, რომელზეც მან სიტყვა წარმოთქვა.

პრეზიდენტს კონექტიკუტში მისი პოლიტიკის მომხრეები და მოწინააღმდეგეები აქციებით და ხმამაღალი შეძახილებით დახვდნენ. აკადემიის ერთ-ერთი კურსდამთავრებულია ქართველი კადეტიც - ელდარ (დაჩი) საგანელიძე. საგანელიძე იმ 6 კადეტს შორისაა, რომლებიც თავიანთ ქვეყნებში დაბრუნდებიან და იქ განაგრძობენ სამხედრო სამსახურს. 200-კვირიანი სასწავლო კურსი წელს წარმატებით 195-მა კადეტმა დაასრულა.

ამერიკის სანაპირო დაცვის აკადემია ორი წლის წინ პირველმა ქართველმა კადეტმა გიორგი ტალახაძემ დაამთავრა. ამავე წელს ავარიაში ტრაგიკულად დაიღუპა აკადემიის ორი ქართველი კურსანტი სოსო მაკარიძე და ბესო გორჯოლაძე. აკადემიამ მაკარიძეს მექანიკურ ინჟინერიაში ბაკალავრის ხარისხი გარდაცვალების შემდეგ მიანიჭა.

კასპის მუნიციპალიტეტის 4 სოფლის გაზიფიცირება დასრულდა

საქართველოს მთავრობის ვიცე-პრემიერმა, ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ, შპს "საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის" გენერალურმა დირექტორმა ირაკლი ბენდელიანმა, "სოკარჯორჯია გაზი"-ს დირექტორმა აზერ მამადოვმა, შიდა ქართლის გუბერნატორმა კახა სამხარაძემ და ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლებმა კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხში ახლადაშენებული გაზგამანაწილებელი ქსელი დაათვალიერეს და სოფლის ცენტრში ჩირაღდანი აანთეს. საქართველოს მთავრობის დავალებით, შპს "საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიამ" კასპის მუნიციპალიტეტის 4 სოფელში: იდლეთში, წინარეხში, ლავრისხევსა და გომიჯვარში ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით სრული გაზიფიცირებისთვის საჭირო სამუშაოები განახორციელა.

სამუშაოების შედეგად ბუნებრივი გაზის ქსელში ჩართვის შესაძლებლობა აქვს სოფლებში მცხოვრებ 852 ოჯახს.

პროექტის ფარგლებში მოეწყო 30 ათას 634 გრძივი მეტრი სიგრძის გაზსადენი. სამუშაოები სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდა და ფაქტიურმა ღირებულებამ შეადგინა 970 000 ლარი. გაზგამანაწილებელი ქსელის ექსპლუატაციას კომპანია "სოკარჯორჯიაგაზი" განახორციელებს. ამასთან, შეგახსენებთ, რომ 2014 წელს, ბუნებრივი გაზის ქსელზე მიერთების ტარიფი 600-დან 400 ლარამდე შემცირდა.

მოქალაქეებს შემცირებული ტარიფის გადახდა 25 ლარიანი პორციებით 16 თვის განმავლობაში შეუძლიათ. მომსახურების ღირებულებაში შედის ბუნებრივი გაზის ერთი წერტილის მოწყობა.

ფაშიზმზე გამარჯვების 72 წლისთავი

ფაშიზმზე გამარჯვების 72 წლისთავის აღსანიშნავად მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა, საზოგადოების წარმომადგენლებმა დიდი სამამულო ომის ვეტერანებთან ერთად გმირთა მემორიალი თაიგულით შეამკეს და დაღუპულებს პატივი მიაგეს. ღონისძიება კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გაგრძელდა, სადაც სამამულო ომის ფრაგმენტები იქნა ნაჩვენები და გაიმართა კონცერტი.

გამარჯვების დღე ვეტერანებს მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა მიულოცა და პრემიერ - მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის მისალოცი ბარათები გადასცა. ყველა ვეტერანმა საქართველოს მთავრობისა და მუნიციპალიტეტის გამგეობისგან ფულადი საჩუქარი მიიღო.

კასპელ ვეტერანებს 9 მაისი "ჰაიდელბერგცემენტის"-ს კასპის ცემენტის ქარხნის ხელმძღვანელობამ სასაჩუქრე პაკეტით მიულოცა.

ქეთევან ციხელაშვილი კასპში

შერიგებისა და თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ქეთევან ციხელაშვილი კასპში, ოკუპაციის მუზეუმს სტუმრობდა.

მინისტრი სტუდენტებს, ადგილობრივი თვითმმართველობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდა.

ქეთევან ციხელაშვილმა საქართველოს მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკაზე ისაუბრა, ასევე ოკუპაციის ფონზე არსებულ გამოწვევებზე.

"მუზეუმებში დაცული ოკუპაციის გამოხატულების გარდა, დღეს ჩვენ გვაქვს ცოცხალი მანიფესტი ოკუპაციისა ამ ადგილიდან სულ რამდენიმე კილომეტრში, მავთულხლართების მიღმა. ჩვენი სამშვიდობო პოლიტიკა ოკუპაციის წინააღმდეგ არის მიმართული," - აღნიშნა ქეთევან ციხელაშვილმა.

,,ინფორმირებული მოქალაქე - ძლიერი თვითმმართველობა,,

კავთისხევის ადმინისტრაციულ ერთეულის სოფელ თვალადში გაიმართა ევროკავშირის და ევროპის საბჭოს ერთობლივად დაფინანსებული პროექტის ,,ინფორმირებული მოქალაქე - ძლიერი თვითმმართველობა"-ს პრეზენტაცია. პროექტის მიზნების, ამოცანებისა და მოსალოდნელი შედეგების შესახებ მოსახლეობის წინაშე ინფორმაციით პროექტის სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი, კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა გოჩიტაშვილი წარდგა. შეხვედრაზე აირჩიეს სათემო - საკონსულტაციო ჯგუფი. შეხვედრას ესწრებოდნენ: იონბეს კარუ - პროექტის მენეჯერი მოლდავეთიდან, მელანი სტივენო ევროსაბჭოს ექსპერტი და გიორგი მესხიძე პროექტის ექსპერტი საქართველოდან.

ცნობისათვის: კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობამ გაიმარჯვა ევროპის საბჭოს მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში ,,ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუციონალური საფუძვლების გაძლიერება ეთიკასა და გამჭვირვალობაში".

პროექტის მიზანია თვითმმართველობის განხორციელების პროცესში მოქალაქეთა ინფორმირებულობით და ჩართვის გზით, მუნიციპალიტეტის განვითარება და მომსახურების ხარისხის გაზრდა. 2017 წლის 1 მარტს ქალაქ სტრასბურგში ევროსაბჭოს წარმომადგენელსა და კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელ გოჩა გოჩიტაშვილს შორის გაფორმდა ხელშეკრულება თემაზე "ინფორმირებული მოქალაქე - ძლიერი თვითმმართველობა."

ხელი მოეწერა განზრახულობათა ოქმს.

სოფელ კოდისწყაროს გზის მოასფალტება

დაწყებულია სოფელ კოდისწყაროსა და სენაკი-ლესელიძე ჩქაროსნულ მაგისტრალთან დამაკავშირებელი გზის მოასფალტების სამუშაოები, რომელსაც შპს "საგზაო სამშენებლო სამმართველო №1" ახორციელებს. გზის სიგრძე 2 400 გრძივი მეტრია, ღირებულება 683 553 ლარი, გარანტია კი 2 წელი. პროექტი ითვალისწინებს: მოსამზადებელ სამუშაოებს, გზის სამოსის, საფუძვლის ზედა და ქვედა ფენის, გრუნტის კივეტების, გზის გადამკვეთი და ეზოს შესასვლელებში ლითონის მილების და წყალმიმღები ლითონის ცხაურების მოწყობას, რომელიც ასფალტის საფარით დასრულდება.



მოსახლეობა სამუშაოების დასრულების შემდეგ გადაადგილებას კეთილმოწყობილი, მოასფალტებული გზით შეძლებენ.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

თანამედროვე განათლების ტენდენციების დამკვიდრება

კასპში ბიზნესისა და ტექნოლოგიების ახალგაზრდული გადამზადების ცენტრი გაიხსნა

კასპში, საქართველოს პარლამენტში კასპის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატის ირაკლი მეზურნიშვილის ინიციატივით, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის, ტექნოპარკი საქართველოს მხარდაჭერით და კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის დაფინანსებით "ბიზნესისა და ტექნოლოგიების ახალგაზრდული გადამზადების ცენტრი" გაიხსნა.

ცენტრის მიზანია რეგიონში თანამედროვე განათლების ტენდენციების და ინოვაციების დამკვიდრება. ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში მედია მარკეტინგის სწავლების სამთვიანი პროგრამის შემდეგ, ისინი აღნიშნულ ცენტრში შეძლებენ მუშაობას.

ბიზნესისა და ტექნოლოგიების ახალგაზრდული გადამზადების ცენტრი ერთადერთი ტექნოლოგიური პროექტი არაა, რომელიც კასპში ხორციელდება. მუშაობა იწყება მცირე ტექნოპარკის გახსნაზე, რაც 2018 წლისთვისაა დაგეგმილი.

ჯერ კიდევ წლის დასაწყისში კასპის მაჟორიტარმა დეპუტატმა ირაკლი მეზურნიშვილმა განაცხადა, რომ კასპში ბიზნესისა და ტექნოლოგიების ახალგაზრდული გადამზადების ცენტრი უნდა გაეხსნა. ცენტრის მიზანი კი იქნებოდა რეგიონში თანამედროვე განათლების ტენდენციების დამკვიდრება, ადგილობრივი ბენეფიციარების მომზადება დასაქმების ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის სტიმულირება.

მრავალი აუხდენელი დაპირების გამოცდილებით სულგანაბული ველოდებოდით სასურველის რეალობად ქცევას. განსაკუთრებული იმედი კი მაშინ ვიგრძენით, როდესაც საახალწლო მილოცვაში ირაკლი მეზურნიშვილმა კიდევ ერთხელ დაანონსა გადამზადების ცენტრის გახსნა.

ახლა კი სიხარულით ვაღიარებთ, რომ ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი და ინოვაციური პროექტი საქართველოს რეგიონალური განვითარების ჭრილში. ცენტრში გადამზადების პროცესი უკვე დაწყებულია. ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტთან თანამშრომლობით 5 ბენეფიციარი უკვე მონაწილეობს გადამზადების პროცესში.

გადამზადების ცენტრში აქტიურად ჩატარდება სემინარები და ტრენინგები. ვეცდებით მაქსიმალურად ვითანამშრომლოთ ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტთან, ტექნოპარკთან და მათ მიერ განხორციელებული პროექტები ჩვენს ცენტრშიც გადმოვიტანოთ. მნიშვნელოვანია ახალგაზრდების ჩართულობა. პირველ ნაკადში ის ბენეფიციარები მონაწილეობენ, რომლებმაც თავად გამოთქვეს სურვილი. ზოგადად კი ჩვენი კარი ყველასთვის ღიაა. აქ მოსვლა და იდეის გაზიარება ყველას შეეძლება. მაქსიმალურად ვეცდებით, ყველას დავეხმაროთ, - აღნიშნა ირაკლი მეზურნიშვილმა.

როგორც ვიცით ბიზნესისა და ტექნოლოგიების ახალგაზრდული გადამზადების ცენტრში სისტემატურად გაიმართება ტრენინგები თანამედროვე ციფრულ ტექნოლოგიებსა და სოციალური მედიის მარკეტინგის მიმართულებით, სემინარები მსოფლიოს დასაქმების საერთაშორისო პლატფორმაზე დისტანციური სამუშაოების შესასრულებლად საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით.

სამთვიანი კურსების ფარგლებში ბენეფიციარები შეისწავლიან მარკეტინგს, საზოგადოებასთან ურთიერთობას, სოციალურ მედიას, გრაფიკულ პროგრამებს. სწავლების პროცესი განხორციელდება როგორც თბილისში ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში, ისე კასპის ახლადგახსნილ ცენტრში. ცენტრის ტრენერების გადამზადებას ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი უზრუნველყოფს.

ეს დღე მნიშვნელოვანია კასპის მოსახლეობისთვის, რადგან გადამზადების ცენტრი ძალიან სწრაფად უნდა გახდეს ადგილობრივების დასაქმების ცენტრი. სპეციალური გადამზადების შემდეგ ბენეფიციარების დასაქმება შეიძლება მოხდეს როგორც ადგილზე, ასევე დისტანციურად, მაგალითად თბილისში ან საზღვრებს გარეთაც კი. მოთხოვნადი პროფესიებისა და უნარების შეძენაში კასპის მცხოვრებლებს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის მიერ ცენტრში ჩატარებული სემინარები და ტრენინგები დაეხმარებათ.

როგორც ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის რექტორმა მიხეილ ბატიაშვილმა აღნიშნა - კასპი ამ პროექტის პირველი მაგალითია.

ცენტრის 5 ბენეფიციარი ერთი თვეა გადამზადების პროცესში ჩაერთო და ერთი მათგანი დასაქმდა კიდეც. კასპის ერთ-ერთმა კლინიკამ, რომელიც რებრენდიგს აკეთებს, სარეკლამო ვიდეორგოლი და ახალი ლოგო სწორედ ბიზნესისა და ტექნოლოგიების ახალგაზრდული გადამზადების ცენტრის ბენეფიციარს დაუკვეთა. "კურსი ძალიან საინტერესოა. ვიდეორგოლების დამზადებას ვსწავლობ. ჯერჯერობით ერთი თვეა, რაც ვსწავლობთ და მომავალი 2 თვის განმავლობაში მეტი სწავლისა და განვითარების იმედი მაქვს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ პირველი შეკვეთა უკვე მივიღე. ერთ-ერთი კერძო კლინიკა "მარიმედი" ტექნოლოგიურ განახლებას ამზადებს და მე შევთავაზე სარეკლამო რგოლის დამზადება, რაზეც დამთახმდნენ. მე უნდა შევქმნა მათი ახალი ლოგოც, - აღნიშნა ბენეფიციარმა თამთა თამარაშვილმა.

ბიზნესისა და ტექნოლოგიების ახალგაზრდული გადამზადების ცენტრი ერთადერთი ტექნოლოგიური პროექტი არაა, რომელიც კასპში ხორციელდება. მუშაობა იწყება მცირე ტექნოპარკის გახსნაზე, რაც 2018 წლისთვისაა დაგეგმილი.

ტექნოლოგიური პროექტები მნიშვნელოვანია დასაქმების გაზრდის მიზნით. ის, რაც ხდება თბილისის ტექნოპარკში, ტექნოლოგიები, რომელიც იქ არის წარმოდგენილი და ახალგაზრდები, რომლებიც მუშაობენ, ძალიან იმედის მომცემია.

საქართველოს ტექნოპარკში ჩამოყალიბებული იდეები მსოფლიო მასშტაბით ფინანსდება.

ქართველების იდეებს აფინანსებს კალიფორნიის Silicon Valley, სადაც მსოფლიოს, ფაქტობრივად, ყველა ინოვაცია იქმნება და ვითარდება. ძალიან მნიშვნელოვანია ასეთი ცენტრის კასპში შექმნაც. დარწმუნებული ვარ, ბევრი უნიკალური იდეა დაიბადება აქ და ბევრი სტარტაპი აიღებს სათავეს, - აღნიშნა საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა არჩილ თალაკვაძემ.

პროექტში ორგანიზატორების პარალელურად წამყვანი ტექნოლოგიური კომპანიები არიან ჩართული. ცენტრს "სოფთლაინ საქართველოს" დირექტორმა რევაზ ურუშაძემ ხუთი კომპიუტერი გადასცა საჩუქრად, შედეგად ბიზნესისა და ტექნოლოგიების ახალგაზრდულ გადამზადების ცენტრში მუშაობა 10 ბენეფიციარს ერთდროულად შეეძლება. ცენტრში სწავლა სრულიად უფასოა ნებისმიერი მსურველისთვის.

"ბიზნესისა და ტექნოლოგიების ახალგაზრდული გადამზადების ცენტრის" გახსნას ესწრებოდნენ: კასპის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი მეზურნიშვილი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის რექტორი მიხეილ ბატიაშვილი, საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე ავთანდილ კასრაძე, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი არჩილ თალაკვაძე, საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე კახაბერ კუჭავა, შიდა ქართლის გუბერნატორის მოადგილე იოსებ ოქრომელიძე, კასპის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები, გადამზადების ცენტრის კურსის მსმენელები და დაინტერესებული პირები.

არჩილ თალაკვაძემ მადლობა გადაუხადა ირაკლი მეზურნიშვილს ინიციატივისათვის, მუნიციპალიტეტის გამგებელს გოჩა გოჩიტაშვილს დაფინანსებისათვის, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტს და საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ხელშეწყობისათვის.

კიდევ ერთხელ და ხაზგასმით უნდა ვაღიაროთ, რომ შემოთავაზებული სიახლე ძალიან შორპერსპექტივად გვესახებოდა იანვრის დასაწყისში ... განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსი გახლავთ ის ფაქტი, რომ საქართველოს სიახლე არ დარჩა "ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა," არ მოგვატყუა ჩვენმა მაჟორიტარმა დეპუტატმა და მნიშვნელოვანი კარი გაუღო ჩვენებურ ახალგაზრდებს ცივილიზაციის სასურველ სიხშირეზე.

და კიდევ, "ბიზნესისა და ტექნოლოგიების ახალგაზრდული გადამზადების ცენტრი" პრეცედენტია შიდა ქართლში, რომელიც მომავალში ტექნოპარკის გახსნის წინაპირობაა. ამჯერად სულმოუთქმელად ველოდებით სიახლეებს.

დაინტერესებულმა ახალგაზრდებმა შეუძლიათ მიმართონ ცენტრის მენეჯერს ხატია ბაინდურაშვილს - ტ. 558 51 58 28; 599 86 36 63.

თაობათა კავშირი

რეპერტუარში ქართული საგალობლებიც

ბავშვების გამოჩენა სცენასა და ხალხმრავალ ღონისძიებებზე ყოველთვის ემოციებს აღძრავს და პატარა მომღერალ-შემსრულებელთა გამბედაობა, ბავშვური სითამამე ხომ კიდევ უფრო მეტ აღტაცებასა და სიხარულს იწვევს... ღელავდნენ, უფრო ზუსტად ერიდებოდათ ორდენებითა და მედლებით მკერდდამშვენებული ომის ვეტერანების (საცხრამაისო შეხვედრაზე) წინაშე რომ უწევდათ გამოსვლა, მაგრამ ისეთი სულისკვეთებითა და გალაღებულებმა შეასრულეს ცნობილი იტალიური საზეიმო მარში /საგუნდო სიმღერა, "ფუნიკული ფუნიკულა" /, რომ დარბაზი, განსაკუთრებით კი, ომგადახდილი სტუმრები "მწყობრი ტაშით" აჰყვნენ გუნდის მომღერლებს...

მსგავსი ემოციური, პატარა თავგადასავალი მუდამ თან სდევს ხოლმე კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანებასთან (დირექტორი ლალი ჯანჯალაშვილი) არსებულ სამუსიკო სკოლის გუნდს, რომელსაც უკვე რამდენიმე წელია ხელმძღვანელობს გიორგი ხასიშვილი.

– ორგანიზებულობითა და აქტიურობით გამოირჩევა გიორგი ხასიშვილი. მას მიღებული აქვს მუსიკალური განათლება, 2010 წელს დაამთავრა გორის სამუსიკო სკოლის ათწლედი. შემდეგ სწავლობდა სსიპ-გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო საზოგადოებრივ კოლეჯში /მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით/.

2013 წლის 5 ივლისს სამუსიკო საზოგადოების საკვალიფიკაციო სხდომის გადაწყვეტილებით გიორგი ხასიშვილს მიენიჭა გუნდის ლოტბარის სტატუსი, მარტო კასპის სამუსიკო სკოლის გუნდს კი არა, გიორგი უკვე წლებია, სათავეში უდგას ქვემო ჭალის კულტურის სახლთან არსებულ ფოლკლორულ ანსამბლ "საამილახვროს", – გვიამბობს კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე, – ასე, რომ ჩვენი ახალგაზრდა მაესტრო ყოველთვის გვანებივრებს თავისი ორიგინალური და საინტერესო, წარმატებული გამოსვლებით, არა მხოლოდ ჩვენს ქალაქში, არამედ დედაქალაქში გამართულ ღონისძიებებსა თუ სატურნირო შეხვედრებზე.

ეს რომ მართლაც ასეა, მაისის დასაწყისშიც დადასტურდა, საქმე ის გახლავთ, რომ ქალაქ თბილისში ჩატარდა ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების ფინალური ტური, რასაკვირველია, ამ ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ჩვენებური ბავშვებიც, ამდენად, თავი ისახელა კასპის სამუსიკო სკოლის სიმღერის გუნდმა, რომელმაც საგრანპრო /95, 25 ქულა/ შეფასება დაიმსახურა. შესრულდა ქართული ხალხური სიმღერები: "ცელო მოუსვი ბალახსა" და " იმავ მთაზედა." აპლოდისმენტები დაიმსახურეს გუნდის წევრებმა: თინიკო თინიკაშვილმა და ლიზი მიდელაშვილმა, ანამარია კაჭიურმა და გიორგი გარაყანიძემ /სოლისტი/, მარინა ელბაქიძემ და ნინო სისაურმა, თეკლა გვარამაძემ და ანი მუზიაშვილმა /სოლისტი/, ანი ხორგუაშვილმა და ხატია მაისურაძემ, ხატია მამულაშვილმა და გურამ ქამხაძემ, ნიკა ბეგლარაშვილმა და სანდრო ყაზარაშვილმა, ანა შალუტაშვილმა... მარტო კასპის სამუსიკო სკოლის /დირექტორი შორენა შეშაბერიძე/ გუნდის წევრები კი არა, ფინალურ ტურში ქვემო ჭალის კულტურის სახლთან არსებული ბავშვთა სიმღერის გუნდი "საამილახვროც" მონაწილეობდა... გუნდის ხელმძღვანელთან, გიორგი ხასიშვილთან ერთად სცენაზე გამოვიდნენ მომღერლები: ძმები ხვიჩა, გიორგი და გაბრიელ ხეცილ

"სასკოლო მზაობის პროგრამის" განსახორციელებლად

კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება ფინანსდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან. საბავშვო ბაღებში აქტიურად და თანმიმდევრულად ხორციელდება ინფრასტრუქტურული პროექტები, რომელიც ითვალისწინებს აუცილებელ, გადაუდებელ სამშენებლო და სარემონტო სამუშაოებს...

კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება ემსახურება 26 საბავშვო ბაღს, აქედან 5 ბაღი მდებარეობს ქალაქში, ხოლო 21 სოფლად. 2012 წლიდან, როგორც ვიცით, ახალმა მთავრობამ, როდესაც თავის პრიორიტეტად დაისახა მომავალ თაობაზე ზრუნვა (საბავშვო ბაღები უფასო გახდა), შესაბამისად კასპის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ აღმშენებლობის პერიოდი გამოაცხადა. არადა, წინა მთავრობისაგან ჩვენ მივიღეთ დანგრეული, გაძარცვული, ყოველმხრივ მოუწყობელი ბაღები და ამიტომ იყო, რომ თავდაპირველად ბაღებს ჩაუტარდა მხოლოდ კოსმეტიკური რემონტი, მერე მოწესრიგდა კვების ბლოკი, დამონტაჟდა აგრეთვე, ცივი და ცხელი წყლის ავზებიც...

ბაღებისთვის შევიძინეთ მაცივრები და გაზქურები, ქვაბები, ხმარებიდან ამოვიღეთ ალუმინის ჭურჭელი, მოკლედ, ბაღებში მიმდინარე ცვლილებებსა და პატარ-პატარა "რეფორმებს" მოსახლეობა გაფაციცებითა და დიდი გულისყურით ადევნებდა თვალს. რასაკვირველია, გაიზარდა მოთხოვნა საბავშვო ბაღით სარგებლობისა, ყოველდღიურად მატულობდა აღსაზრდელთა რაოდენობა, მაგალითად, თუ 2012 წელს იყო 1040 ბავშვი, დღეის მდგომარეობით საგრძნობლად გაიზარდა ეს ციფრი და დღეს მუნიციპალიტეტის სკოლამდელ დაწესებულებას ჰყავს 1. 572 აღსაზრდელი...

საერთო მიზანიც ხომ სწორედ ეს არის, ყველა ბავშვისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ბაღი. ამიტომ საჭირო გახდა ცალკეულ ბაღებში დამატებით, ჯგუფების გახსნა, ასე მოხდა მაგალითად, ქალაქის პირველ, მეორე და დოესის საბავშვო ბაღებში და ცხადია, ისინი აღიჭურვა ახალი ავეჯითა და ჭურჭლით, საჭირო რესურსითა და მოწყობილობით. რასაკვირველია, ჯგუფების დამატებამ გამოიწვია თანამშრომლების მიღება და დაინიშნენ აღმზრდელები, მეთოდისტები, ფსიქოლოგები, ლოგოპედები.

სკოლამდელი ბავშვების აღზრდა ჩამოყალიბების საქმეში განსაკუთრებული როლი ენიჭება გასართობ და შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებების ჩატარებას, პატარებისათვის დასამახსოვრებელი ზეიმის მოწყობას, აგრეთვე, სანახაობრივ შეხვედრებს, საინტერესო მეცადინეობებს. ამ მიზნით ვიყენებთ განათლების სამინისტროს მიერ გადმოცემულ სახელმძღვანელოებს, კერძოდ კი, გვაქვს აქტივობათა კრებულის პირველი და მეორე ნაწილის საპილოტე ვერსია — "სასკოლო მზაობის

პროგრამის" განსახორციელებლად.

გარდა საალმზრდელო - სასწავლო პროცესისა, ბაღებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობას და ბავშვთა კვებას. კვების პაკეტი 2012 წლამდე ათლარიანი იყო და გამუდმებით ისმოდა პრეტენზიები, იმის გამო, რომ ბავშვები ვერ იღებდნენ კალორიულ საკვებს, ამის თაობაზე გაერთიანებამ დააყენა საკითხი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის წინაშე და დღეს ერთ ბავშვზე კვების პაკეტი 20 ლარით განისაზღვრება, ბუნებრივია, ამით მრავალფეროვანი გახდა საკვები მენიუ.

გვერდს ვერ ავუვლით ერთ მეტად მნიშვნელოვან თემას. საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენი მუნიციპალიტეტის ზოგიერთი სოფლის საბავშვო ბაღი მდებარეობს სასაზღვრო ზოლთან, მაგალითად, ქვემო ჭალის, სამთავისის, ლამისყანის ორჯგუფიანი ბაღი. ჩამოთვლილი ბაღების შენობები სტანდარტულია, ყველგან მიმდინარეობს გაზიფიცირება, ქვემო ჭალის ბაღში გაზიფიცირება უკვე დასრულდა, ხოლო დანარჩენ ორ ბაღში, ეს პროცესი უახლოეს ხანში დამთავრდება. გაზიფიცირება დასრულებულია აგრეთვე, ოკმის, თეზის, კავთისხევისა და ეზატის ბაღებში... გაგახსენებთ, რომ ავარიული მდგომარეობა შეიქმნა მეტეხის სადგურის საბავშვო ბაღში და უსწრაფესად გადაწყდა მისი სრული რეაბილიტაციის საკითხი, მანამდე კი, ბაღის ბავშვებისათვის დროებით გამოინახა ადგილი კასპის პირველ საბავშვო ბაღში და ბავშვებისა და მასწავლებლების ტრანსპორტირებისათვის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ იზრუნა. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების კოლექტივი თანმიმდევრულად და კეთილსინდისიერად ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას. აპარატის თანამშრომლები: მანანა მერებაშვილი / მთავარი სპეციალისტი/, სპეციალისტები: ნია ჯუხარიძე, ხათუნა ტყემალაძე, მაია მაზმიშვილი, მაია ბარნოვი, ია ლეონიძე ყველაფერს აკეთებენ წარმატებების მისაღწევად.

მანანა ხვთისიაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი.

ფერადი სამყარო

ვინ მოთვლის, რამდენი თაობა აღიზარდა ქვემო ჭალის საბავშვო ბაღის (გაიხსნა 1960 წელს) კედლებში. ათეული წლების განმავლობაში რაიონის ეს ულამაზესი სოფელი გვერდში ედგა ბაღის პედაგოგიურ კოლექტივს, მერე კი, მოგვიანებით რთული პერიოდი დაიწყო და ეს ყველაფერი აისახა კიდეც სოფლისა და ბაღის ცხოვრებაზე... დღეის მდგომარეობით ქვემო ჭალის საბავშვო ბაღში მხოლოდ ორი ჯგუფი (სულ 40 აღსაზრდელი) ფუნქციონირებს, ხოლო დამამთავრებელ ჯგუფში 15 აღსაზრდელი ირიცხება და იმედს გამოთქვამენ, რომ ყველა მათგანს წარმატებით აქვს გავლილი ის ძირითადი აქტივობები, რომლითაც აღჭურვილი უნდა იყოს პირველკლასელი..

— ამ რამდენიმე წლის წინ, როდესაც საბავშვო ბაღში მივედი სამუშაოდ, აღმოჩნდა, რომ ის სასწავლო-საალმზრდელო რესურსი, რომელიც ბაღში არსებობდა უკვე მოძველებული იყო და სანახევროდაც აღარ პასუხობდა თანამედროვე მოთხოვნებს, ახალი კი, არსად ჩანდა, — საუბრობს ქვემო ჭალის საბავშვო ბაღის გამგე ნათია მჭედლაძე, — და გადავწყვიტეთ ეს ახალი რესურსი და მეთოდური მასალა ჩვენ თვითონ შეგვექმნა, რადგან ძალიან ძნელია, უიმისოდ დააინტერესო ბავშვი. ერთ რამეშიც დავრწმუნდით, ამ საქმეს მხოლოდ აღმზრდელი ვერ გაუმკლავდებოდა და ბაღის მთელი პერსონ-

ალი, განურჩევლად თანამდებობისა, შეუდგა ზრუნვას, განსხვავებული, საჭირო მასალებისა და ხარისხიანი აქტივობების შექმნისათვის. თქვენ წარმოიდგინეთ, ხელოსნობაც კი დავიწყეთ, დავხერხეთ ხის მასალა, გავაპრიალეთ და შევღებეთ, ასე და ამგვარად შევქმენით "უძვირფასესი" საჭირო მასალა, რომლის გამოყენება შეიძლებოდა სხვადასხვა აქტივობების დროს... ერთი სიტყვით, გამოვიყენეთ პლასტმასი, აგრეთვე, ქსოვილი და ჩვენი ხელით დავამზადეთ ანბანი, თანაც გავითვალისწინეთ ისიც, რომ ეს, ჩვენი ხელით შექმნილი თვალსაჩინო მასალა შემდგომ წლებშიც გამოგვადგეს. ძალიან შრომატევადი იყო, მაგრამ მაინც მოვახერხეთ და დავამზადეთ ნაჭრის წიგნი, რომელსაც ახლაც წარმატებით ვიყენებთ სენსომოტორული განვითარებისათვის. შეიძლება პარადოქსია მაგრამ, მერწმუნეთ, ჩვენს მიერ დამზადებული ხელნაკეთი აქტივობები

* დასასრული გვ.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე

გაუმჯობესდა, მრავალფერივანი გახდა ყვების რაციონი

ოჯახი, მშობლები, მთელი მათი საახლობლო თავს ბედნიერად გრძნობს მაშინ, როდესაც საბავშვო ბაღში მისულ მათ პატარას მშვიდი, კეთილმოწყობილი გარემო ხვდება... სწორედ ასეთი განცდა დაგეუფლებათ დღესის საბავშვო ბაღში მისვლისას. ბაღის მთელი პედაგოგიური კოლექტივი, აღმზრდელ-მასწავლებლები ენერგიას არ იშურებენ იმისათვის, რომ ბავშვებს სანიმუშო პირობები ჰქონდეთ და სრულფასოვნად იკვებონ... არადა, სულ-რაღაც ხუთი-ექვსი წლის წინ ამაზე ოცნებაც კი არ შეეძლოთ... მაშინ სულ სხვა ვითარება სუფევდა ბაღში. მართლაც ძალიან უჭირდათ აქაურებს, 750-კომლიან სოფელში (3. 500 მაცხოვრებელი) მშობლების უმეტესობა ვერ ახერხებდა შვილის ბაღში მიყვანას ცნობილი და გასაგები მიზეზის გამო, მაგალითად, 2010 წელს ბაღში მხოლოდ და მხოლოდ ერთი ჯგუფი ფუნქციონირებდა და ისიც ფასიანი. რასაკვირველია, ბევრი ბავშვი ბაღის გარეშე იყო დარჩენილი. და აი, მომდევნო 2011 წელს არასამთავრობო ორგანიზაცია "კავიტას ჯორჯიას" მიერ განხორციელდა პროექტი სახელწოდებით "სკოლამდელი განათლების ალტერნატიული მოდელი საქართველოში."

დაარსდა სკოლამდელი განათლების ცენტრი (ხელმძღვანელი ბაღის აღმზრდელი ლიანა ბაიდაური), რომელიც აღიჭურვა საჭირო მასალითა და ინვენტარით და რაც უფრო ყურადსაღებია, ცენტრი გადავიდა მუნიციპალიტეტის ბალანსზე. მოკლედ, ბაღი ერთხანს ასეთი ფორმულირებით ფუნქციონირებდა /ორი ჯგუფი, ჩამოყალიბდა შერეული ჯგუფიც/.

— დასასრული არ უჩანდა მოსულ განცხადებებს, სოფლის ყოველი მეორე ოჯახი ითხოვდა ბაღში ბავშვის მოყვანას /საბედნიეროდ საგრძნობლად იმატა სოფელში აღსაზრდელთა კონტინგენტმა/. საჭირო გახდა მესამე ჯგუფის დაშვება, აი, სწორედ ამ დროს დახმარებისათვის მივმართეთ კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელს ბატონ გოჩა გოჩიტაშვილს, — საუბრობს დღესის საბავშვო ბაღის გამგე სოფო როინიშვილი, — უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი სათხოვარი გულთან ახლოს მიიტანა და საგულდაგულო განხილვის შემდეგ პრობლემა დადებითად გადაწყდა. რა თქმა უნდა, ახალი, მესამე ჯგუფის გახსნამდე ბაღში ჩატარდა კაპიტალური რემონტი. მუდამ მხარში გვედგა კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე.

სკოლამდელი დაწესებულებების გაერთიანებამ (დირექტორი მანანა ხვთისიაშვილი)

დროულად იზრუნა და ახალი ჯგუფისათვის გამოყო ახალი ინვენტარი, საჭირო მოწყობილობა. სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესის გაუმჯობესებისა და დახვეწისათვის შეირჩა კვალიფიციური კადრი, აღმზრდელად დაინიშნა თამარ ხორბალაძე, მასთან ერთად ძიძა-სანიტარიც, ეკა ჯოჯიშვილი.

დღესის საბავშვო ბაღში მესამე ჯგუფის გახსნის შედეგად ბევრი ოჯახის მოთხოვნა დაკმაყოფილდა, გაიზარდა აღსაზრდელთა კონტინგენტი და თქვენ წარმოიდგინეთ, ახალი ჯგუფის გახსნამ უზრუნველყო სამუშაო ადგილების შექმნაც, ექთანი /ნაზი ახალკაცი/, მნე /მარეხ სუჯაშვილი/, მეთოდისტი /თამარ ჩიტიშვილი/, მზარეულის თანაშემწე /თამარ ყეინაშვილი/.

სხვათა შორის, ბავშვთა კონტინგენტის ზრდასთან ერთად, პირველ და მეორე ჯგუფებში აუცილებელი გახდა აღმზრდელის თანაშემწეების (ქსენია ბესტავაშვილი და ლამარა ხორბალაძე) დანიშვნა.

ამჟამად დღესის საბავშვო ბაღში /17 თანამშრომელი/ 92 აღსაზრდელია, მათ შორის დამამთავრებელ ჯგუფში ირიცხება 28 ბავშვი, ესე იგი, ახალ სასწავლო წელს სასკოლო მერხს მიუჯდება 28 პირველკლასელი და როგორც აღმზრდელები ირწმუნებიან, დღესის საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებლებს ნამდვილი სიურპრიზი ელოდებათ, ვინაიდან, სასკოლო მზაობა ყველა ბავშვმა თანმიმდევრულად გაიარა.

ბაღში აღსაზრდელთა სწავლება ფუნქციონირებს ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილი სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამით, რა თქმა უნდა, სხვადასხვა აქტივობებით.

სასწავლო პროცესის დახვეწისა და გაუმჯობესების გარდა არანაკლები ყურადღება ეთმობა აღსაზრდელთა კვების საკითხს. ბავშვებს აქვთ სამჯერადი კვება. მუნიციპალიტეტის ხელშეწყობითა და ორგანიზებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, მრავალფეროვანი გახდა კვების რაციონი. ამ საკითხის მოგვარებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ თანამედროვე, სტანდარტული ინვენტარით აღიჭურვა ბაღის სამზარეულო, მოწესრიგდა აგრეთვე, საკუჭნაო, გადამზადება გაიარეს მზარეულმა და მისმა თანაშემწემ, რომ იტყვიან, უმაღლეს დონეზეა მოგვარებული ჰიგიენისა და კულინარიის საკითხები, უფრო მეტიც, დღესელ მშობლებს ეიმედებათ, რომ ბაღს ჰყავს გამოცდილი მზარეული ქალბატონი ნაზო აბრამიძე, რომლის პროფესიონალიზმი ძალიან ბევრს ნიშნავს მათთვის... ისიც უნდა ითქვას, რომ დღესის საბავშვო ბაღში ბოლომდე არ დასრულებულა იფრასტრუქტურული პროექტები. მართალია, მთლიანად გადაიხურა, მოწესრიგდა შენობის სახურავი, მაგრამ დასამთავრებელია შიდა სარემონტო სამუშაოები, ბავშვები და არა მხოლოდ ისინი კარგა ხანია ელოდებიან ეზოგარემოს, სათამაშო მოედნის კეთილმოწყობას, და კიდევ, ერთი სული აქვთ, როდის მოხდება ბაღის გაზიფიცირება.

კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება.

ფერადი სამყარო



***დასასრული.**

ბავშვებზე და არა მხოლოდ მათზე, უდიდეს ინტერესსა და აღტაცებას იწვევს. დიახ, ჩვენ ყველანი ერთად ვაფერადებთ პატარების სამყაროს, გვიხარია, რომ საკუთარი წვლილი შეგვაქვს ბავშვების ჰარმონიულ განვითარებაში.

მიუხედავად იმისა, რომ ბაღს მწირი რესურსი და ბევრი ხელისშემშლელი მიზეზი აქვს, თამამად შეიძლება ითქვას, რომ აქ იგრძნობა მუდმივი ზრუნვა და თავდაუზოგავი შრომა იმისათვის, რომ ბავშვებს ჰქონდეთ ნორმალური პირობები, ეს კი, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, პედაგოგიური კოლექტივის დამსახურებაა. — მართალია, ასაკიანი ქალბატონი გახლავთ ქვემო ჭალის ბაღის აღმზრდელი დარეჯან ოთარაშვილი, მაგრამ მას ისეთი გამოცდილება და ცოდნა გააჩნია, რომ ბევრ ახალგაზრდას შეუძლია მისგან სწავლა, მას უნდა მოუსმინო და ამით იხელმძღვანელო, — განმარტავს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი მანანა ხვთისიაშვილი, — იგივე ითქმის მუსიკის მასწავლებელსა და ძიძებზე, მზარეულზე. ამიტომაც არ გამორიცხავენ, რომ მომავალ წელს სავარაუდოდ გაიზრდება ბავშვთა კონტინგენტი.

კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ბილიკის" ეგიდით

სახელი, რომელსაც თაობები არ დაივიწყებენ

თვალადის საჯარო სკოლა ჩართულია არასამთავრობო ორგანიზაცია "ბილიკის" მიერ ორგანიზებულ პროექტში "ადგილობრივი შესაძლებლობების გაძლიერება ბავშვთა უფლებების დაცვისათვის საქართველოში".

აღნიშნული ორგანიზაციის ხელშეწყობით თვალადის სკოლაში ხორციელდება პროექტი (ხელმძღვანელი ნანა დემეტრაშვილი) "სკოლა და მუზეუმი – გზა სამყაროს უკეთ შეცნობისათვის" და რასაკვირველია, ამ ღონისძიებაში პედაგოგებთან ერთად აქტიურად მონაწილეობენ მოსწავლეები...

პირველ ეტაპზე პროექტის მონაწილეებმა საფუძვლიანად შეისწავლეს ცნობილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, ჩვენი თანამემამულის გიორგი შატბერაშვილის შედევრი "მკვდრის მზე," გაეცნენ აგრეთვე, მწერლის ცხოვრებას და მოღვაწეობის წლებს. ნიშანდობლივი გახლავთ ის ფაქტიც, რომ თვალადელი მოსწავლეები პროექტის ფარგლებში, სასირეთის გიორგი მაზნიაშვილის სახელობის სახლ-მუზეუმს ესტუმრნენ და ამ სოფლის საჯარო სკოლის თანატოლებს შეხვდნენ, მათ ერთად გაიხსენეს და ისაუბრეს რაიონის ორი სახელოვანი ადამიანის გიორგი შატბერაშვილისა და გიორგი მაზნიაშვილის მოღვაწეობასა და დამსახურებაზე...

სასირეთში გიორგი მაზნიაშვილის სახლ-მუზეუმში მოსწავლეებთან შესახვედრად მოვიდნენ კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი გიორგი ჩადუნელი, სასირეთის საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი სოსო ბერიაშვილი, აქ იმყოფებოდნენ აგრეთვე, სოფლის აქტივის წარმომადგენლები, ომისა და შრომის ვეტერანები, ახალგაზრდები.

ჩატარდა ვიქტორინა "მე მიყვარს ჩემი ქვეყნის ისტორია", ორივე სკოლის მოსწავლეები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ისტორიის ცოდნაში. თვალადის საჯარო სკოლიდან აქტიურობდნენ მიშო წიკლაური, ვახო ხარატიშვილი, ანი ძამუკაშვილი, ნატა ნოქარაშვილი, მარიამ იორდანიძე, ხატია ხოკერაშვილი. მათ ღირსეულ მეტოქეობას უწევდნენ მასპინძლები, სასირეთის საჯარო სკოლის მოსწავლეები: იმედა ჯალალიშვილი, ტატო ბეჟიტაშვილი, გიგა ბერიაშვილი, მაკა მაისურაძე, ქეთი ჭალიაშვილი, ლედი ონეზაშვილი... ძალიან საინტერესო, სანახაობრივი იყო თვით ვიქტორინის მიმდინარეობის პროცესი. ხატია ხოკერაშვილის მიერ ლამაზად და გემოვნებით გაფორმებული სლაიდებისა და კლასიკური მუსიკის ფონზე ანი ძამუკაშვილი შთამბეჭდავად უყვებოდა დამსწრე საზოგადოებას ორი საქვეყნოდ ცნობილი ადამიანის დაუვიწყარ ამბებს... "ადამიანის სიცოცხლე არც დაბადებით იწყება და არც სიკვდილით მთავრდება" – საქართველოს დაუმარცხებელი გენერლის გიორგი მაზნიაშვილის აი, ამ ცნობილი სიტყვებით დაიწყეს პატარა ლექცია-საუბარი მოსწავლეებმა ნატა ნოქარაშვილმა და მარიამ იორდანიძემ, რომლებმაც მსმენელთა დიდი მოწონება დაიმსახურეს.

ღონისძიებას გიორგი შატბერაშვილისა და მუხრან მაჭავარიანის ლექსებით ალამაზებდნენ ნატა ნოქარაშვილი და ნანა დემეტრაშვილი, რომელმაც გიორგი მაზნიაშვილისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსიც გააცნო აუდიტორიას... ოფიციალური შეხვედრის დასრულების შემდეგ ერთმანეთს შთაბეჭდილებებს უზიარებდნენ სტუმარ-მასპინძლები, მოსწავლეები და პედაგოგები, მშობლები.

ნანა დემეტრაშვილი.

„მამულო, სიცოცხლეო,"

კოდისწყაროელებს და არამხოლოდ მათ ალბათ, ბევრჯერ შეუმჩნევიათ სოფლის ცენტრში, დაღუპულთა მემორიალთან ყვავილების თაიგულებით გარემოსილი სამშობლოს ერთიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული გელა თიგიშვილის ბიუსტი. პატივის მიგება, გახსენება – ეს ერთადერთი საშუალებაა, რომლითაც თავს ინუგეშებენ გულანთებული მეომრის ოჯახის წევრები და ახლობლები, შვილები და შვილიშვილები, თანამებრძოლები...

უფროსი სერჟანტი, კოდისწყაროელი გელა თიგიშვილი 2006 წლიდან მსახურობდა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში, დაჯილდოებულია მედლით "სამშობლოსათვის თავდადებული", მიღებული აქვს ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენი, იგი იმყოფებოდა კოსოვოში სამშვიდობო მისიით...

აგვისტოს ომში 36 წლის გელა თიგიშვილი სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლას შეეწირა და სამარადისოდ დარჩა ქვეყნის საბრძოლო მატიანეში... სამაჩაბლოს ომში უგზოუკვლოდ დაკარგული მამაცი მეომრის ცხედარი მხოლოდ 2012 წელს დაკრძალეს მშობლიურ სოფელში. მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის ორგანიზებით და ხელშეწყობით აგვისტოს ომის შვიდიწლისთავზე კოდისწყაროში, სოფლის ცენტრში, დაღუპულთა მემორიალთან გელა თიგიშვილის ბიუსტი გაიხსნა, რომელსაც ფრიად წარმომადგენლობითი დელეგაცია ესწრებოდა. მათ შორის იყვნენ ცენტრალური ტელევიზიისა და პრესის, წითელი ჯვრის წარმომადგენლები, ომის ვეტერანები, მისი ოჯახის ახლობლები.

– 25 მაისი მისი დაბადების დღეა, წელს იგი 45 წლის გახდებოდა. ტკივილი ყოფილა, როდესაც ამბობენ ხოლმე, დრო ყველაფრის მკურნალიაო, დრო ტკივილებს კი აყუჩებს, მაგრამ იარებს ვერაფერს შველის, – მწუხარებით იხსენებს გელა თიგიშვილის დედა, ქალბატონი ქეთევან ნიკოლიშვილი-თიგიშვილი, – ტკივილიან მოგონებებს დასასრული არ აქვს, მისი ოცნება იყო ცხინვალის შემოერთება, მაგრამ ის ოცნება საფლავში ჩაიტანა, რა ვქნა, უმძიმესი ყოფილა შვილმკვდარი დედის ცხოვრება, 36 წლის ჯანღონით სავსე, ენთუზიასტი, სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული შვილი დავკარგე. მან დატოვა სანიმუშო ოჯახი, მოსიყვარულე მეუღლე ირმა ჯაფარიძე, ერთგული ძმები, ორი ვაჟკაცი – ლაშა და ვაჟა, ახლა კი, სახელოვანი პაპის ფესვებზე მისი შვილიშვილი, პატარა დამანე იზრდება. მჯერა, რომ იგი ღირსეული მოქალაქე გაიზრდება.

რ. ქართლელიშვილი.

გაზაფხულის რიტმები „არტ–ჰოლში,,

აპრილის ბოლოს ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში, თბილისის საკონცერტო დარბაზ "არტ-ჰოლში" გაიმართა ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალი სახელწოდებით "გაზაფხულის რიტმები"... ეს იყო სხვადასხვა ქვეყნის ფოლკლორისა და ხელოვნების დაუვიწყარი ზეიმი, რომელშიც, რა თქმა უნდა, ქართველი ქორეოგრაფიული კოლექტივების გარდა მონაწილეობდნენ ქორეოგრაფიული ანსამბლები რუსეთიდან, ისრაელიდან, ყატარიდან, სომხეთიდან, ლატვიიდან.

– საერთაშორისო ფესტივალი "გაზაფხულის რიტმები" გაიმართა საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირის ორგანიზებით და რაოდენ სასიამოვნოა, რომ ასეთ რეზონანსულ ფესტივალში მონაწილეობდა ჩვენი ანსამბლიც. უნდა ვაღიაროთ, რომ ფესტივალზე გასამგზავრებლად დიდი დახმარება გაგვიწია კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის დაწესებულებების გაერთიანებამ, რის გამოც კმაყოფილებას გამოთქვამენ მოცეკვავეები და მათი მშობლები – აცხადებს ქვემო ჭალის კულტურის სახლთან არსებული ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლის ხელმძღვანელი ნინო პავლიაშვილი. დიახ, "სხვილოელნი" ამჯერადაც წარმატებით გამოვიდა ფართო აუდიტორიის წინაშე. სხვათა შორის, ჩვენი გამოსვლით მოიხიბლნენ აგრეთვე, ფესტივალში მონაწილე უცხოელი მოცეკვავეებიც, ერთი სიტყვით, არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ დიდი წარმატება ხვდათ წილად ჩვენს მოცეკვავეებს.

ანსამბლი "სხვილოელნი" ფესტივალზე წარდგა ორი ცეკვით: "აჭარული სუიტა" და "მთიელთა ლხინი," აღსანიშნავია ისიც, რომ ღონისძიების დასრულების შემდეგ გაიმართა დაჯილდოების ცერემონიალი, ანსამბლს გადაეცა სპეციალური სერტიფიკატი და მედალი, ხოლო თითოეულ მოცეკვავეს, მაღალი საშემსრულებლო ოსტატობისათვის გადაეცა ფესტივალის ლაურეატის დიპლომი.

კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება.

თარიღი კალენდრის ფურცელზე

მაისი

* 1921 წლის 9 მაისს დაიბადა გიორგი როსტიაშვილი (კავთისხევი) — საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე (1971), სსრკ-ის 3-გზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში, ერთადერთი ქართველი მწვრთნელი, ვინც ჭიდაობის 3 სახეობაში გაზარდა მსოფლიო ჩემპიონები (გარდაიცვალა 1994 წლის ივლისში).

* 1927 წლის 15 მაისს დაიბადა ლევან მოდრეკილაძე (კავთისხევი) — "რკინის ბიჭი", "ბეჭდაუდებელი" (გარდაიცვალა 2010 წლის ოქტომბერში).

* 2009 წლის 19 მაისს გარდაიცვალა ლავრენტი კაციაშვილი (ქვემო გომი) — საქართველოს 25-გზის ჩემპიონი (1950-67 წლებში) ქართულ ჭიდაობაში, სამბოსა და თავისუფალში; სსრკ-ის 13-გზის პრიზიორი და 4-გზის ჩემპიონი სამბოში; საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საქართველოში ჭიდაობის პირველი სპეციალიზებული სკოლის გახსნის (1976) ინიციატორი და პირველი დირექტორი გარდაცვალებამდე (სკოლა მისი სახელობისაა).

* 1993 წლის მაისში გარდაიცვალა სამსონ (ვოვა) პატენკო (დოესი) — სპორტის ოსტატი ქართულ ჭიდაობასა და სამბოში, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, სსრკ-ის ჩემპიონი (ჭაბუკებში) სამბოში, სპორტსაზოგადოება "კოლმეურნისა" და "ქარიშხალას" არაერთგზის გამარჯვებული.

* 1957 წლის 29 მაისს დაიბადა შოთა კაციაშვილი (ქვემო გომი) — (იხ. ქვემოთ).

შოთა კაციაშვილი — 60

პირმშოს დაბადებით გახარებულმა მამამ ვაჟიშვილს დაარქვა შოთა — სახელი სამი წლით უმცროსი, 19 წლის ასაკში ტრაგიკულად დაღუპული, ძმისა. თვითონ ხომ სასახლოდ იარა მოჭიდავე ძმის გამარჯვებების გზაზე და ვაჟიშვილიც ამ საქმისათვის გამოწვრთნა და დააკვალიანა, ჯერ როგორც მოჭიდავე და მერე კი მწვრთნელი... და რა იცოდა მაშინ ბატონმა ლავრენტი კაციაშვილმა, მასაც დღემოკლე სიცოცხლე ელოდა და 29 წლისა 1986 წლის 23 აპრილს დაიღუპებოდა ბიძის ხსოვნის დღეზე (1949 წლის 23 აპრილი).

... ამგვარად, წლევანდელ მაისში შოთა კაციაშვილის დაბადებიდან 60 წლისთავი შესრულდა. ერთი თვის შემდეგ კი, ივნისში, შესრულდება ლავრენტი კაციაშვილის დაბადებიდან 90 წლისთავი.

უპირველესი სიტყვა ჯერ სოფელზეა, მერე — მთელ რაიონსა და საქართველოზე.

სპორტული კალეიდოსკოპი

მოკლედ — სამაისო სამ შეჯიბრებაზე

კასპის ჭიდაობის სპეციალიზებული სკოლის (დირექტორი ალექსანდრე ხუციშვილი) ჭაბუკმა ძიუდოისტებმა თვის დასაწყისში საშეჯიბროდ დააჭაშნიკეს დიდი დარბაზი, რომელიც ძირითადად სავარჯიშოდ არის განკუთვნილი. ეს იყო არა მარტო მეტეხელი, დოესელი, ყარალაჯელი, ალაიანელი, ოქმელი, ლამისყანელი მომავალი ჩემპიონების ძალების მოსინჯვა, არამედ ამ და სხვა სოფლების ჯგუფებში მომუშავე მწვრთნელების გარჯის ერთგვარი შეფასებაც. პირველობის მთავარმა მსაჯმა, ცნობილმა მოჭიდავემ და მწვრთნელმა, ჯემალ ხორბალაძემ განაცხადა, რომ გამარჯვებულ-პრიზიორებით დაკომპლექტდება რაიონის ჭაბუკთა პირველი ასაკობრივი დონის ნაკრები.



13 მაისს უკვე "მრგვალი დარბაზის" განახლებულ არენაზე აჟღერდა ქართული "საჭიდაო", სადაც ეროვნული ფედერაციის პატრონაჟით გაიმართა, ასევე, პირველი შეჯიბრება, ზონალური მასშტაბით, 16-18 წლის ჭაბუკ ჩოხოსანთა შორის.

თვის მიწურულს, 27-ში, აქვე გაიმართა წარსულში ცნობილი მოჭიდავისა და, საერთოდ, ქართული ჭიდაობის ჭეშმარიტი გულშემატკივრის, პოპულარიზატორისა და ენთუზიასტის — ვლადიმერ (ლადო) გოგიბედაშვილის (1903-1977) ხსოვნის მემორიალური რესპუბლიკური ტურნირი, რომელსაც წლების შემდგომ სული შთაბერა მისმა შვილიშვილმა, სპორტულმა ჟურნალისტმა, თამაზ გოგიბედაშვილმა.

ბურთი — კალათში... ცხოვრება — კალათბურთში

საქართველოს საკალათბურთო ისტორიის რუკაზე კასპი, როგორც მოთამაშე - მხარე, ჯერ არ ჩანს. გამონათების პერიოდები ჰქონია, მაგრამ აქამდე ვერ აკაშკაშდა, ამიერიდან რა იქნება და როგორ, ეს იმედებს სახავს, უფრო მას შემდეგ, რაც 2017 წლის მარტის ბოლოს კასპში თანამედროვე სტანდარტების მისადაგი სასპორტო დარბაზი ამოქმედდა.

ჩვენს რაიონში, ჭიდაობისა და ფეხბურთის შემდეგ, პოპულარობისა და ხელმისაწვდომობის მხრივ, უთუოდ, კალათბურთი უნდა მივიჩნიოთ მესამე ადგილზე. თანაც, სასკოლო კალათბურთი ხელს უწყობს მასში ახალგაზრდობის ჩართულობასა და მასობრიობას. ამ თამაშს ჩვენში ყოველთვის ჰყავდა პოპულარიზატორები და მხარდამჭერები, ენთუზიასტი ადამიანები და სპეციალისტები. ასეთთა შორის დავასახელებთ ალექსანდრე ქესაურსა და მიხეილ მაკეიჩევს. უპირველესად კი გავიხსენებთ კოტე ჩხარტიშვილს, რომლის ხსოვნის მემორიალური ტურნირი (სარაიონო პირველობა უბნების გუნდებს შორის კალათბურთში) სისტემატურად იმართება მაისის ბოლოს, მისი დაბადების თარიღთან დაკავშირებით. ასე იყო ამ დღეებშიც... აი, წინა ტურნირებში 2-ჯერ გაიმარჯვა სოფელ ახალქალაქის გუნდმა. ეს მოწმობს, რომ ახალქალაქი ჩვენში ყველაზე საკალათბურთო ცენტრი — სოფელია და კასპთან სპორტული კონკურენტობის კარგი მაგალითის მიღწევა დაკავშირებულია იქაური მწვრთნელების — აწგარდაცვლილი ვაჟა ამირეჯაშვილისა და მისი უფროსი ძმის, ტარიელ ამირეზაშვილის, სახელებთან. ეს უკანასკნელი, აგერ, 20 წელია, თანასოფლელ და ერთაწმინდელ ახალგაზრდებს ავვარებს კალათბურთს და წლების მანძილზე სწორედ იქაურები შეადგენდნენ რაიონის ნაკრების ძირითად ბირთვს.

... და, მაინც, მთავარი პირი ჩვენი წერილისა, რომელიც ჩაფიქრებულია დიდი სასაუბრო თემის დასაწყისად, გახლავთ მიხეილ მაკეიჩევი — წარმოშობით რუსი კაცი, აქ დაბადებული და გაზრდილი, სულითა და გულით, თავისი მიწოდებით მშობლიურ ქალაქზე შეყვარებული, არჩეული საქმის ერთგული:

კალათბურთი მისი ჭაბუკური არჩევანი იყო. კასპის მეორე სკოლის (რუსული სექტორის) დამთავრებისთანავე, დედაქალაქის სპორტულ მწვრთნელთა სკოლაში განაგრძო სწავლა და კალათბურთის მწვრთნელის კვალიფიკაცია მიიღო.

საინტერესოა, რომ იმ პერიოდშივე თამაშობდა თბილისის "სპარტაკის" შემადგენლობაში (გუნდს წვრთნიდა "დინამოს" ყოფილი მოთამაშე, რეზო გოგელია) და მონაწილეობდა სპორტსაზოგადოების ცენტრალური საბჭოს პირველობაზე ქ. ბათუმში, სადაც ქართველებმა მესამე ადგილი დაიკავეს... შემდეგში კი, ყველა შრომით კოლექტივში, სადაც მიხეილმა იმუშავა, აუცილებლად შეხება ჰქონდა კალათბურთთან და უამთამაშოდ ერთი დღეც კი არ უცხოვრია. წლების მანძილზე ავარჯიშებდა კასპის სპორტსკოლის მოსწავლეთა (1960–61-ების) გუნდს. მისმა გაწვრთნილმა გოგონათა გუნდმა რამდენიმე წლის უკან თბილისის კეკელიძის სახელობის დარბაზში წარმატებით იასპარეზა: მხოლოდ ფინალური შეხვედრა დათმო აჭარის ნაკრებთან მინიმალური სხვაობით, მომზადების საერთო დონე სპეციალისტებმა მოიწონეს და უმაღლეს ლიგაში სათამაშოდ მიიწვიეს, მაგრამ... აი, ვინ გამოდიოდა იმჟამინდელ გუნდში: სოფიკო როველიაშვილი (კაპიტანი), ნინო ბერიანიძე, თეონა ხიზანიშვილი, ქეთინო ბექაური, თამთა პაპუაშვილი, ალბინა გაროზაშვილი, მაკა სუხაშვილი...

მიხეილ მაკეიჩევი 2002 წლიდან მშობლიურ სკოლაში ფიზაღზრდის მასწავლებელია, სწორედ ამ სკოლის ფიზკულტურის დარბაზმა შეიფარა დროებით ქალაქისა და რაიონის ნაკრებები, სანამ კასპში სპორტული დარბაზი უქმობდა, სანამ ახალი აშენდებოდა და მწყობრში ჩადგებოდა. ამდენად, მეორე სკოლის დირექტორის, ქალბატონ ოლია მახარაძის, მხრიდან ესოდენი სამსახურებრივი გულისხმიერების გამოჩენა იშვიათი და სასიამოვნო გამონაკლისია, რაც სპორტის უჩინარ გულშემატკივრებსა და ენთუზიასტებს ახასიათებთ და რამაც კასპურ კალათბურთს სულიერი ნალვერდალი შემოუნახა.

(... ზემოთ როგორც მივანიშნეთ, საკალათბურთო თემა ამოუწურავია, ამიტომ "სპორტული კალეიდოსკოპის" გვერდებზე საუბარი უთუოდ უნდა გაგრძელდეს... ასე რომ, ჰა ბურთი და ჰა კალათი!).

კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანება.

პერსონალური გამოფენა





საზოგადოებამ 18 მაისს მუზეუმების საერთაშორისო დღე აღნიშნა. უმეტესად ამ დღეს სამუზეუმო საქმის წარმომადგენლები აღნიშნავენ, ალბათ იმიტომ, რომ ყოველდღიურობის დამქანცველ რითმს აყოლილებს ძნელად თუ გვახსენდება, რომ სწორედ მუზეუმები ინახავენ ქვეყნის უმნიშვნელოვანეს მატიანეს. ეს არ გახლავთ სტატისტიკურ მონაცემთა ნუსხა, ეს უფრო სულიერების გადასარჩენად შექმნილი სივრცეა. ნეტა მას - ვინც ამ ფოლიანტებში დაიდო ბინა...

2017 წლის 18 მაისს, დღის 12 საათზე გიორგი ხორგუაშვილის სახელობის კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა მხატვარ გივი შეშაბერიძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა, რომელიც მიეძღვნა მუზეუმების საერთაშორისო დღეს.

ღონისძიების ორგანიზატორები: მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება და კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, აგრეთვე სამხატვრო გალერეა, საინფორმაციო მხარდამჭერი გაზეთი "ახალი განთიადი".

გამოფენაზე მოსულ დამთვალიერებლებს, რომელთა შორის იყვნენ ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები და ხელოვნების თაყვანისმცემლები, მოსწავლეები და ახალგაზრდები, არაერთი სიურპრიზი დახვდათ. საქმე ის გახლავთ, რომ დარბაზში გამოფენილი ფერწერული ტილოები (სულ 38 ნახატი) თავისი ორიგინალობითა და გამომსახველობით ნამდვილად იპყრობს მნახველთა ყურადღებას, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, იმსახურებს სპეციალისტთა სათანადო შეფასებას.

– მხატვარ გივი შეშაბერიძის ფერწერას კარგად იცნობს ჩვენი ქალაქის საზოგადოება, – განაცხადა სიტყვით გამოსვლისას კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა გიორგი ჩადუნელმა, – დღეს, აქ, ამ დარბაზში გამოფენილი ფერწერული ნამუშევრები სხვა დროსაც უნახავს დამთვალიერებელს და არა მხოლოდ ჩვენს ქალაქში, კასპელ ხელოვანს ბევრჯერ უსახელებია ჩვენი ქალაქი დედაქალაქელი დამთვალიერებლის წინაშე და ამდენად, სულაც არ ყოფილა მოულოდნელი ჩვენთვის მისი დღევანდელი წარმატება.

თვალადში დაბადებულ-აღზრდილ გივი შეშაბერიძეს ბავშვობიდანვე იტაცებდა ფუნჯი და საღებავები. სილამაზით განთქმულ, თვალწარმტაც თვალადში სხვა რამეზე რატომ უნდა ეოცნება, ისედაც შთამბეჭდავი ბუნებით მოხიბლულ მოზარდს. მერე კი, როდესაც მის ოჯახს თვალადიდან კასპში მოუწია საცხოვრებლად გადმოსვლა და მან კასპის მეორე საჯარო სკოლაში დაიწყო სწავლა, კიდევ უფრო მოეძალა ხატვისადმი ინტერესი. რვა კლასის დამთავრების შემდეგ, 1963 წელს გივი შეშაბერიძე ჩაირიცხა მოსე თოიძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში ქანდაკება-მოდელირებისა და ლითონის მხატვრულად დამუშავების ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა... ასე და ამგვარად, მისი ბავშვური გატაცება ცხოვრების წესად იქცა და იმ დღიდან მოყოლებული გივი შეშაბერიძეს არ უღალატია არჩეული პროფესიისათვის. ახალბედა მხატვარი თავიდან ქარხანა "კასპიელექტროაპარატში" მუშაობდა მღებავ-გამფორმებლად, მერე სავალდებულო სახედრო სამსახურიც მოიხადა და სამხედროდან დაბრუნებული მხატვარი ისევ ქარხანაში დაბრუნდა სამუშაოდ. მის ცხოვრებაში იყო რთული პერიოდებიც, ახალგაზრდა შემოქმედს ბევრჯერ მოეცარა ხელი და გული აუცრუვდა, თუმცა, ხელოვნების დიდმა სიყვარულმა ყველაფერი შეაძლებინა. ამ საქმეში მას ძალიან დაეხმარა უფროსი კოლეგა, თვითნასწავლი მხატვარი, მოქანდაკე და პოეტი, აწგარდაცვლილი დავით ნავროზაშვილი, რომელმაც /1982 წელს/ შეაგულიანა გულაცრუებული მხატვარი და ურჩია აქტიურად ემუშავა ფერწერაზე...

გივი შეშაბერიძე არის რესპუბლიკური და რეგიონული მრავალი გამოფენის მონაწილე, 1987 წელს ფერწერული ნამუშევრისათვის "მთვარიანი ღამე დარიალის ხეობაში", საკავშირო ფესტივალის ლაურეატის მედლით დაჯილდოვდა...

გივი შეშაბერიძის პერსონალური გამოფენა გრძელდება. მის ფერწერულ ხელოვნებაში დიდი ადგილი უკავია ჩვენი რაიონის ტერიტორიაზე არსებულ ისტორიული და კულტურული ძეგლების ამსახველ მასალას, გამოფენაზე წარმოდგენილია პეიზაჟი, პორტრეტი და კიდე სხვა ჟანრის მხატვრობა.

გამოფენა გრძელდება.

კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება.

მეგიძლიათ, მიგვაწოდოთ თქვენი შვილების, შვილიშვილების ორიგინალური ფოტოები, ნახატები, აზრები. ისინი გამოქვეყნდება ჩვენს გაზეთში.

ეროვნული სამოსის დღესასწაული

ისევე, როგორც ქვეყნის მასშტაბით, კასპშიც საზეიმოდ აღინიშნა ქართული სამოსის დღესასწაული, რომელმაც მთელი ქალაქი მოიცვა. 18 მაისს ლამაზად მორთულ ქალაქის კულტურის ცენტრის შესასვლელთან ეროვნულ სამოსში გამოწყობილმა დიდმა თუ პატარამ ერთად მოიყარა თავი. საქართველოს დროშებით ხელდამშვენებული, ეროვნულ სამოსში გამოწყობილი მოსწავლე-ახალგაზრდობის მსვლელობა ქალაქის მთავარი ქუჩიდან დაიწყო. კოსტიუმირებულ მსვლელობას შეუერთდა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა გოჩიტაშვილი, რომელმაც ქალაქის მოსახლეობას გულითადად მიულოცა უკვე ტრადიციადქცეული დღესასწაული...

ღონისძიების ფარგლებში დღესასწაულზე წარმოდგენილი იყო ხელნაკეთი ნივთები /დაწნული კალათები და ლამაზი საყვავილეები ქვემო გომიდან /, ძველებური აქსესუარები /ქართული ხალხური საკრავი ინსტრუმენტები, კავთისხევიდან /, ნაქსოვები და ნაქარგები, თექის ნაწარმი.

– ეროვნული სამოსის დღესასწაული უკვე მეორედ გაიმართა ჩვენს ქალაქში, გვინდოდა რაც შეიძლება საინტერესო და მიმზიდველი, შინაარსიანი, დასამახსოვრებელი სანახაობა გვეჩვენებინა, – განაცხადა კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა თეა ხორბალაძემ, – რაც

* დასასრული გვ10.

ერთიანი ხალხის ლოგიკური წარმოება

*** დასასრული.**

ყველაზე მთავარია, ღონისძიებაში ჩართული იყო მუნიციპალიტეტის

სასოფლო კლუბებთან არსებული თითქმის ყველა ქორეოგრაფიული კოლექტივი, საესტრადო სიმღერების ინდივიდუალური შემსრულებლები, საბავშვო ანსამბლები. საღღესასწაულო კონცერტის გახსნის პატივი წილად ხვდა ანსამბლ /ხელმძღვანელი ღირსების ორდენის კავალერი გივი ბახტაძე / "მოურავს" ლეგენდარული მრავალჟამიერით. კონცერტში მონაწილეობდნენ აგრეთვე აღაიანის სასოფლო კლუბთან არსებული ხალხურ საკრავთა ანსამბლი /ხელმძღვანელი ღირსების ორდენის კავალერი თამაზ დურგლიშვილი/ "თხოთი", დავით ჯავრიშვილის სახელობის კასპის მუნიციპალიტეტის ბავშვთა სახალხო, სახალხო-სანიმუშო ცეკვის აკადემია "დიდგორი" /სამხატვრო ხელმძღვანელი - ბრწყინვალების ორდენის კავალერი ქეთევან მონასელიძე, მთავარი ქორეოგრაფი, ქორეოგრაფიის ამაგდარისა და დესპანის მედლის მფლობელი მარინა რუსიშვილი, ქორეოგრაფები: დარინა პაპაშვილი და სოსო პავლიაშვილი/, დასამახსოვრებელი იყო ანსამბლ "მოურავის" სოლისტის მიხეილ ქოსაშვილის გამოსვლა, რომელმაც შეასრულა ცნობილი საესტრადო სიმღერა "გიორგობის თვეო," აპლოდისმენტები დაიმსახურა ჯავარ ნაჭყებიას სახელობის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლის /ხელმძღვანელი ხათუნა გაგაძე/ "ქართლის" გამოსვლამ, დღესასწაულს სტუმრობდა პოეტი ზვიად ნავროზაშვილი, რომელმაც წაიკითხა საკუთარი ლექსები, ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ქორეოგრაფიული

ანსამბლები: "იმედი", ხელმძღვანელი საქართველოს დამსახურებული ქორეოგრაფი და პედაგოგი იზაბელა თაბუკაშვილი, ქორეოგრაფი ინგა თაბუკაშვილი, " მეტეხი", ქორეოგრაფი ცისანა დარჩიაშვილი, ანსამბლი "ტარიელი", ქორეოგრაფი

შორენა ამირეზაშვილი, ქორეოგრაფიული ანსამბლი /ხელმძღვანელი ნინო პავლიაშვილი/ "სხვილოელნი".

ქალაქის ცენტრში დიდხანს ისმოდა ხალხური საკრავებით შესრულებული ქართული ჰანგები, საესტრადო მელოდიები, განსაკუთრებით შვენოდა აქაურობას ეროვნულ სამოსში გამოწყობილი ლამაზმანები, ქართული ჩოხით "გაამყებული რაინდები"...

კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება.

გილოცავთ

ჯასჰის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანებისადმი დაქვემდებარებულ ჯასჰის სამუსიკო სკოლის ღვაწლმოსილ ჰედაგოგს, ქალბატონ ქეთევან გაჩეჩილაძეს ვულოცავთ დაბადებიდან 75 წლის იუბილეს და ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, შემოქმედებით წარმატებებსა და დიდ ჰრად ბედნიერებას.

ჯასჰის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება.

საქართველოს ჰედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალ ჰროფესიონალთა ასოციაციის ჯასჰის რეგიონული ორგანიზაცია დაბადების სიუბილეი თარიღს ულოცავს ჯასჰის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლის ღვაწლმოსილ ჰედაგოგს ქალბატონ ქეთინო გაჩეჩილაძეს, უსურვებს ხანგრძლივ სიცოცხლეს და ჯანმრთელობას.

გიული სოხიაშვილი, საქართველოს ჰედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალ ჰროფესიონალთა ასოციაციის ჯასჰის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე.

განცხადება

საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის განცხადება საჯარო განხილვის შესახებ

სს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია" დაინტერესებულ პირებს იწვევს "აღმოსავლეთ-დასავლეთის" მაგისტრალური გაზსადენის "ნატახტარი-ლეხურის" მონაკვეთის მშენებლობის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვებზე.

განხილვები გაიმართება 2017 წლის 7 ივლისს მცხეთისა და კასპის მუნიციპალიტეტების გამგეობის შენობებში.

- მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა 12:00 საათი, მისამართი: დ. აღმაშენებლის ქუჩა №18.
- კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობა 15:00 საათი, მისამართი: მერაბ კოსტავას ქუჩა №18.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში ხელმისაწვდომია სს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციაში" და კორპორაციის ვებგვერდზე http://www.gogc.ge/ge/enviroenmentassassement

ასევე, მცხეთისა და კასპის მუნიციპალიტეტების გამგეობებში.

გთხოვთ,

წინადადებები და შენიშვნები წერილობით მიაწოდოთ სს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას" არაუგვიანეს 2017 წლის პირველი ივლისისა შემდეგ მისამართზე:

სს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია"

თბილისი, 0190, კახეთის გზატკეცილი №21

+995 (32) 2 24-40-40 შიდა ნომერი 422

ელ-ფოსტა: public@gogc.ge

გვმოიწერეთ "ახალი გვნთავლი" გახლით ჩვენი მკითხველი!

კასპის პირველი საჯარო სკოლის პედაგოგიური სამეძიმარს უცხადებს სკოლის დირექტორს მაია დაბრუნდაშვილს მამის ვიტალი დაბრუნდაშვილის გარდაცვალების გამო.

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება შ.პ.ს. ქოლორ პრესში

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ. კასპი სააკაძის ქ. № 68
ტელეფონი 22-25-76